გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

# კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №23-24 (9589-90) ● 1-31 დეკემბერი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

## სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2024 წლის ანგარიში



ჩემო სენაკელებო, ჩვენი საქმიანობის 2024 წლის შედეგების გაცნობამდე, მინდა დამდეგი შობა-ახალი წელი მოგილოცოთ.

მშვიდობის, ბედნიერების, სიხარულის, ერთობის, გამარჯვებების წელიწადი შემოსულიყოს ჩვენი ქვეყნისთვის და თითოეული თქვენგანისთვის!

გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით აღსავსე დღეებს, წინსვლას და წარმატებას!

ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, 2024 წელსაც, უწყვეტი ტემპით მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი წინსვლისა და ეკონომიკური განვითარების პროცესი, წარმატებულად ხორციელდებოდა მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები, მასშტაბური სამუშაოები - სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორების განვითარების მიმართულებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და უპრეცედენტო შედეგები არა მხოლოდ ციფრებით, არამედ, ჩვენი საქმიანობის კონკრეტული შედეგებით დასტურდება. ზემოთქმული კი - ჩვენი გუნდის თითოეული წევრის მაღალი პროფესიონალიზმისა და დაუღალავი შრომის შედეგია. მადლობა მათ, გაწეული სამსახურისთვის!

26 ოქტომბერს მოპოვებულმა გამარჯვებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ უალტერნატივოა ,,ქართული ოცნების" აღმშენებლური, ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე, ღია მმართველობაზე, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოზე, ღირებულებებსა და ტრადიციულ ფასეულობებზე გათვლილი, ჭეშმარიტად ეროვნული პოლიტიკა - სტაბილური და ევროპული მომავლის უზრუნველსაყოფად.

საზოგადოებისა და თვითმმართველობის ერთობლივი საქმიანობის კურსი, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლების მოსვლიდან ჩაეყარა საფუძველი, შეუქცევადია და თანმიმდევრულად უზრუნველყოფს, ქვეყნისა და მათ შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტის ყოველმხრივ განვითარებას

ახლა კი მინდა გაგაცნოთ ჩვენი სახელისუფლებო გუნდის მიერ უკვე გაკეთებული საქმეების ანგარიში და უახლოესი მომავლის ხედვები.

**ვახტანგ გადელია,**

**სენაკის მუნიციპალიტეტის მერი**

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## თანადგომით და სიყვარულით!

სრულიად საქართველოს, ქვეყნის გარეთ მყოფ ქართველებს, განსაკუთრებით, სენაკში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს, დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და კეთილი სურვილებით ვულოცავ დამდეგ შობა–ახალ წელს.

2025 წელი სიხარულის, ბედნიერების, მატერიალური კეთილდღეობის, მშვიდობისა და გაერთიანების წელი ყოფილიყოს ყველასთვის.

გასული წელი იყო სერიოზული გამოწვევების წელი, ქვეყანას ჰქონდა ბევრი წარმატება, რომლის პარალელურად სენაკის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. მინდა ყველას მადლობა გადავუხადო ვინც გვერდში დაუდგა მმართველ გუნდს და საპარლამენტო არჩევნებში პრინციპული არჩევანი გააკეთა.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული სწორი პოლიტიკით, თქვენთან ერთად კვლავ უამრავ წარმატებას მივაღწევთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთმანეთის თანადგომით და სიყვარულით შევძლებთ სასიკეთო საქმეების კეთებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო მომავალშიც იზრუნებს ჩვენი ქალაქის განვითარებაზე და მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

მჯერა, რომ ახალი წელი, ბევრი სასიკეთო ცვლილებით დაიწყება.

უფალი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

**პატივისცემით საბა ოდიშარია,**

**სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

## მშვიდობა და სტაბილურობა-მომავლის შენების გარანტი

ქართველი კაცი დასაბამიდან ისწრაფოდა და ისწრაფვის დღესაც მშვიდობისკენ. ერი მედგრად უმკლავდებოდა გარს მოხვეულ მტერს და ამასთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნიდა ქვეყნის მომავალს. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მშვიდობა კაცობრიობის უმაღლეს ღირებულებებს შორის უპირველესია. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სტაბილურობისათვის. უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია საქართველო ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, ვიზალიბერალიზაცია, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ამასთან უპირველეს ღირებულებად რჩება ქართული იდენტობის, ტრადიციების, ჩვეულებების, სარწმუნოების შენარჩუნება და განვრცობა. თანამედროვე საზოგადოებამ არ უნდა აქციოს ტრადიცია წარსულად. ტრადიცია უნდა იყოს ერის ხერხემალი, რომელზეც უნდა დავაშენოთ ხვალინდელი დღე, ქვეყნის უსაფრთხოებისა და გადარჩენისათვის საჭირო ყველა კომპონენტი.

2024 წელი ეკონომიკური ზრდისა და მაშტაბური პროექტების განხორციელების მიუხედავად, წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. თუმცა მშვიდობამ და სტაბილურობამ მისცა ქვეყნას - განვითარების, შენების შესაძლებლობა. რეგიონში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელდა მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი ინფრასტრუქტურული, სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები, შესრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა სოფლად და ქალაქად. მოეწყო ხიდბოგირები, საფეხმავლო ბილიკები, სპორტული მოედნები, ჩატარდა გამწვანების, კორპუსების, ფასადების, რეკრიაციული სივრცეების მოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის აღმშენებლობასა და წინსვლაში გამორჩეული წვლილი მიუძღვის სააქციო საზოგადოება ,,არქეოპოლისს", რომელმაც 2024 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში განახორციელა 13 089 100 ლარის ღირებულების ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

ქ.სენაკში, სტალინის ქუჩის მეორე შესახვევის და სიმონ ჯანაშიას ქუჩაზე არსებული სასაფლაოს შიდა გზის, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ე.წ ,,მეგობრობის" ქუჩის, საჯაკობიოსა და ჭალეს უბნების გზების; ეკი-უშაფათის, ზემო ნოქალაქევის, ზემო-ფოცხო ალერტის, ახალისოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჟვანიო-ისულას დამაკავშირებელი გზების; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კვაუთში, სოფელ ჯოლევიში და ლეგოგიეს უბანში; ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზის და საკუჭაოს უბანის; უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეხაბურძანიესა და ლეკორშიეს უბნებში; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლებაღათურიეს უბანში სასაფლაომდე მისასვლელი გზის; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკურიისა და საწულეისკიროს უბნებში; ჯიხას ქუჩის ბოლოში, სასაფლაომდე მისასვლელი გზის; მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭუბაბრიების, მილორავების უბნებში; გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკუპრეიშვილოს უბანში და ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეწერის უბანში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მჯერა, რომ მთავრობის მხარდაჭერითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ ვახტან გადელიას, საკრებულოს თავმჯდომარის ბატონი საბა ოდიშარიას და მათი გუნდის თითოეული წევრის გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად კვლავაც აქტიურად გაგრძელდება სენაკის განვითარება, კეთილმოწყობა და მისახლეობისგან წამოსული ინიციატივების გადაჭრის გზების ძიება.

ახალი წელი ახალ იმედებს ბადებს ადამიანთა გულებში. მინდა გამორჩეული იყოს 2025 ყველა ქართველისთვის თავისი შინაარსით, სიკეთით, სიხარულით, ახლის მიღწევისა და დამკვიდრების სურვილით.

სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, ყველა ოჯახს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ვულოცავ პედაგოგებს, ვეტერანებს, საჯარო მოხელეებს, ჩვენს გმირ პოლიციელებს, სტუდენტებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, მეხანძრე-მაშველებს, თავდაცვის ძალების სრულ შემადგენლობას, დევნილებს, პენსიონერებს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. ყველას ვუსურვებ მშვიდობას, ურთიერთსიყვარულს, ჯანმრთელობას, ხვავს, ბარაქას, დასახული მიზნების განხორციელებას.

შობა-ახალ წელს ვულოცავ უდიდესი რუდუნებით შექმნილ ჩემი მშობლიური საწარმოს ,,არქეოპოლისის" თითოეულ თანამშრომელს, მათ ოჯახებს, შთამომავლებს. მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს, რადგან ჩვენ ერთობლივი შრომით ვაქციეთ ,,არქეოპოლისი" თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობის მქონე უმძლავრეს საამშენებლო კორპორაციად.

აქვე მინდა ვუსურვო ჩვენს საზოგადოებას მეტი პოზიტივი, განვითარების მეტი შესაძლებლობა, მეტი ფინანსური კეთილდღეობა, მეტი ენთუზიაზმი.

მრავალ შობა-ახალ წელს ჩემო ხალხო, ჩემო სენაკელებო, ურთიერთ სიყვარულის და თანადგომის უნარის გაძლიერებას გისურვებთ. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ - ,,ვიმხნეოთ ერთად, ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით, ვინც მხნეა, ის ძლიერია, მაშ მხნე იყავი და გაძლიერდი მამულო ჩვენო"!

**პატივისცემით,**

**დემურ გადელია**

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2024 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

**ბიუჯეტი და ფინანსები - რა გაკეთდა:**

სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 22 227 600 ლარით, რაც 2023 წლის ბიუჯეტთან შედარებით - 2 481 500 ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტთან შედარებით - 6 331 400 ლარით მეტი.

ბიუჯეტის დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 36 741 449 ლარი შეადგინა.

10 თვეში შემოსულია 28 453 103 ლარი, ანუ 77,4%.

წლის დასაწყისისთვის არსებული თავისუფალი სახსრების ნაშთით - 3 014 358 ლარით, განვახორციელეთ ინფრასტრუქტურული პროექტები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, 2024 წლის 10 თვეში, დავაფინანსეთ:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 15 38 227 ლარით;

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 444 787 ლარით;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 3 584 072 ლარით;

განათლება - 3 460 500 ლარით;

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 803 683 ლარით;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4 258 224 ლარით.

2004 წელს, 10 თვის მანძილზე, ჩვენი სახელისუფლებო გუნდის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 14 030 059 ლარი შეადგინა; მათ შორის - გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტები - 7 880 987 ლარი;

სტიქიის პრევენციისთვის- 2 193 954 ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 192 146 ლარი;

ბინათმშენებლობის პროექტები - 700 398 ლარი;

კეთილმოწყობის სამუშაოები - 2 137 477 ლარი;

კულტურული და სპორტული ღონისძიებები- 925 097 ლარ

**რას ვგეგმავთ:**

ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი 24 255 800 ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის ბიუჯეტთან შედარებით - 2 028 200 ლარით გავზარდეთ, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტთან შედარებით - 4 509 700 ლარით, 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით კი - გავზარდეთ 8 359 600 ლარით.

ბიუჯეტის პროექტით, 2025 წელს დაფინანსებას გავზრდით შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია- 293 000 ლარით;

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 70 000 ლარით;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 386 000 ლარით;

განათლების მიმართულება - 348 200 ლარით;

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 357 101 ლარით;

მმართველობა და საერთო დანიშნულება - 496 600 ლარით.

2025 წლის ბიუჯეტის პროექტში, გათვალისწინებული გვაქვს სახელფასო ფონდის 10%-ით ზრდა.

**ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის - რა გაკეთდა:**

2024 წელს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვის, 2 199 400 ლარი გამოვყავით, რაც 2023 წელთან შედარებით - 210 400 ლარით მეტია, ხოლო 2022 წელთან შედარებით - 719 500 ლარით მეტი.

ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამებით, 1 818 545 ლარის ფარგლებში დახმარება 4 865 მოქალაქეს გავუწიეთ.

მათ შორის: ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეულმა ხარჯმა 776 825 ლარი შეადგინა, სოციალურ უზრუნველყოფაზე კი - 1 041 720 ლარი.

2024 წელს, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამით, 463 630 ლარის ფარგლებში, 1 167-მა მოქალაქემ ისარგებლა;

მათ შორის, სამედიცინო მომსახურება გავუწიეთ 258 ონკოლოგიურ პაციენტს;

მაღალტექნოლოგიური კვლევები 274 პაციენტს დავუფინანსეთ;

სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურება - 453 პაციენტს, რომელთა შორის 152 მოზარდია.

მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამით, 86 773 ლარის ფარგლებში, დახმარება 1 095 მოქალაქეს გავუწიეთ;

მათ შორის: 633 - სოციალურად დაუცველია, 327 - შშმ პირი, 94 - ვეტერანი, 41 -ონკოლოგიური პაციენტი.

დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამით, 7 000 ლარის ფარგლებში, 893 მოზარდმა ისარგებლა.

მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების ქვეპროგრამით, 93 მრავალშვილიან ოჯახს, 187 950 ლარის ფარგლებში, გავუწიეთ ყოველთვიური დახმარება; ქვეპროგრამით, დახმარება 372 მოზარდს გაეწია.

ბავშვზე ზრუნვის პროგრამით 18 409 ლარის ფარგლებში, დახმარება გავუწიეთ დედ-მამით ობოლ და იშვიათი დაავადების მქონე 10 მოზარდს.

განვახორციელეთ 12 სოციალურად დაუცველ ერთ წლამდე ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა.

სარიტუალო მომსახურების პროგრამით, 9 600 ლარის ფარგლებში, დახმარება გავუწიეთ 29 დევნილის და 3 ვეტერანის ოჯახს.

ხანძრის შედეგად დაზარალებულ 13 მოქალაქეს, ფინანსური დახმარება, 42 000 ლარის ფარგლებში გავუწიეთ.

სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამით, 42 400 ლარის ფარგლებში, ფინანსური დახმარება გავუწიეთ 24 უსახლკარო, განსაკუთრებულად მძიმე სოციალური პირობების მქონე პირს; რეინტეგრირებული 2 მოზარდის ბიოლოგიურ ოჯახს.

2024 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიის სამოქალაქო ინიციატივის - ,,დაარღვიე სიჩუმე - შეაჩერე ძალადობა" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, ორი პროექტი განვახორციელეთ:

,,არტ-თერაპია" - სამიზნე აუდიტორია: 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის 10 მოზარდი.

მეორე ინიციატივა ითვალისწინებდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების გაცნობასა და ხელმისაწვდომობას. ინიციატივის ფარგლებში, მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები და 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში შედგა მოსახლეობასთან შეხვედრები.

ინიციატივის მხარდამჭერია ქალთა ფონდი ,,სოხუმი", მუნიციპალური უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, მერის მოადგილე - ნანა ზარანდია.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამით, 100 800 ლარის ფარგლებში, დახმარება გავუწიეთ 153 მოქალაქეს; მათ შორის: 54 - მხედველობადაქვეითებულ, 27 - სმენადაქვეითებულ, 39 - ცერებრალური დამბლის მქონე, დაუნის სინდრომის მქონე - 9 და აუტისტური სპექტრის მქონე - 24 ბენეფიციარს.

დავასრულოთ–სტერეოტიპები - ეს გზავნილი გავაჟღერეთ 21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს.

მიმდინარე წლიდან, პროექტის - „საჭიროების მქონე ბავშებისთვის ADOS -ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, რისკის მქონე მოზარდებისთვის, მუნიციპალიტეტში, ხელმისაწვდომი გავხადეთ ,,ოქროს სტანდარტად" აღიარებული ADOS -ის კვლევის ადგილზე ჩატარება, დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობის/რეაბილიტაციის დაწყება.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით, 96 600 ლარის ფარგლებში, 31-მა მოზარდმა ისარგებლა.

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეს, ჯანმრთელობისა და განვითარების ცენტრის ბენეფიციარებთან ერთად შევხვდით.

სოციალური ღონისძიების პროგრამით, 42 000 ლარის ფარგლებში, 357-მა ბენეფიციარმა ისარგებლა; მათ შორის: 100 წელს გადაცილებული 4 მოქალაქეა, 13 ბენეფიციარი - ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილე, 6 - აგვისტოს ომსა და ISAF-ის მისიაში დაღუპულთა ოჯახი, 334 - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანი და მათთან გათანაბრებული პირია.

თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამით, 57 600 ლარის ფარგლებში, 34-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

დღის ცენტრის - "ლაზარე-2015" - თანადაფინასების პროგრამით, 8 333 ლარის ფარგლებში, ისარგებლა 15-მა ბენეფიციარმა.

პროექტის - ,,საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" ფარგლებში, წითელი ჯვრის საზოგადოებასთან ერთად, სხვადასხვა პროფილის ექიმების მიერ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში მცხოვრებ 784 მოქალაქეს უფასო პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური გამოკვლევები ჩაუტარდა. სტიქიით დაზარალებულ 337 ოჯახს ასევე გადაეცა სასურსათო ვაუჩერი.

პროგრამით - "ვიზრუნოთ უფროს თაობაზე", 89 500 ლარის ფარგლებში, მომსახურება 25 ხანდაზმულ მოქალაქეს და შშმ პირს გავუწიეთ.

მიმდინარე წელს დავნერგეთ სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამა, რომლის ფარგლებში შექმნილ კომისიას, მოადგილე, ნანა ზარანდია ხელმძღვანელობს.

ამ ეტაპისათვის, განვახორციელეთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 6 ოჯახის საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის სრული რეაბილიტაცია.

პროგრამის ბიუჯეტი - 100 000 ლარია.

სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მომსახურებით 164 972 ლარის ფარგლებში, 222-მა ბენეციარმა ისარგებლა, მათ შორის - შინ მიტანის სერვისით სარგებლობს 30 ბენეფიციარი.

მიმდინარე წელს, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 225 ბენეფიციარს სააღდგომო ნობათები გადავეცით.

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეც, სიმბოლურად, მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის ბენეფიციარებთან ერთად აღვნიშნეთ.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სერვისებით, 14 067-მა მოქალაქემ ისარგებლა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით და ჩვენი მხარდაჭერით, სკრინინგ აქციით, ჰეპატიტის მსოფლიო დღე აღვნიშნეთ.

ჩვენი სახელისუფლებო გუნდის მხარდაჭერითა და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია: ,,აჩუქე სიცოცხლე, აჩუქე ღიმილი!" მსგავს კამპანიაში მონაწილეობის მზადყოფნის სურვილს ჩვენ მუდმივად გამოვხატავთ.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის პარტნიორობით, ვახორციელებთ პროექტს - ,,ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა ბავშვზე მორგებული სოციალური პროგრამირების განვითარებაში", რომლის მიზანია მუნიციპალიტეტს გაუწიოს დახმარება ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავებაში.

2024 წელს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გავხსენით დიალეზის ცენტრი, რომელსაც შევუძინეთ ერთი სადიალეზო მოწყობილობა, ღირებულებით - 12 947 ლარი.

**ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის - რას ვგეგმავთ:**

2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტს 357 101 ლარით გავზრდით.

გავზრდით შემდეგი სოციალური პროგრამების დაფინანსებას:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა - 90 400 ლარით;

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2024 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა - 102 641 ლარით;

მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა - 14 500 ლარით;

მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების ქვეპროგრამა - 20 000 ლარით;

ბავშვზე ზრუნვის პროგრამა - 5 000 ლარით;

დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა - 1 000 ლარით;

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 53 000 ლარით;

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა - 20 000 ლარით;

ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა - 5 000 ლარით;

სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა - 5 000 ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 10 000 ლარით;

სოციალური ღონისძიებების პროგრამა - 5 000 ლარით;

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა - 20 000 ლარით.

**განახლებული საგზაო ინფრასტრუქტურა - რა გაკეთდა:**

2024 წელს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას 28 პროექტი შევმატეთ; მათ შორის: 24 - საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტია;

ასფალტო-ბეტონის საფარი 30 გრძივ მეტრზე დაიგო.

მასშტაბური სამუშაოების ფარგლებში, ასევე მოვაწყვეთ: სახიდე გადასასვლელები, ხიდ-ბოგირები, მილხიდები, ახალი სანიაღვრე სისტემები.

**დავასრულეთ:**

**ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში:**

2 013 გრძივ მეტრზე, ჯოლევის უბანში, ბეტონის საფარის მოწყობა, ღირებულებით - 1 144 765 ლარი;

2 602 გრძივ მეტრზე, სოფელ კვაუთის საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 1 288 950 ლარი;

**ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

2 376 გრძივ მეტრზე, გახომელას შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 599 743 ლარი;

697 გრძივ მეტრზე, ზემო ნოქალაქევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, ღირებულებით - 560 290 ლარი;

**ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში:**



2 013 გრძივ მეტრზე, ჭალეს უბანში, გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 521 355 ლარი;

228 გრძივ მეტრზე, ,,მეგობრობის" ქუჩის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 1 179 701 ლარი;

610 გრძივ მეტრზე, საჯაკობიოს უბნის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 401 016 ლარი;

**ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში:**

4 347 გრძივ მეტრზე, ზემო ფოცხო-ალერტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი, ღირებულებით - 2 236 994 ლარი;

**ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

1 374 გრძივ მეტრზე, ეკი-უშაფათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 461 185 ლარი;

1 015 გრძივ მეტრზე, საკუჭაოს უბნის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 48 951 ლარი;

**მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

474 გრძივ მეტრზე, სკურიის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 173 731 ლარი;

**ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

689 გრძივ მეტრზე, საჟვანიო-ისულას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 417 667 ლარი;

ქალაქად: 697გრძივ მეტრზე, შხეფის უბანში, შიდა საუბნო გზის ასფალტირება, ღირებულებით -336 128 ლარი;

185 გრძივ მეტრზე, ჯიხას ქუჩაზე, სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 120 098 ლარი.

**რა კეთდება:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით, ამ ეტაპზე, 9 ლოკაციაზე მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში - 4 495 გრძივ მეტრზე, ლეგოგიეს უბნის გზის კაპიტალური რეაბილიტაცია; ღირებულებით - 1 671 421 ლარი;

სიმონ ჯანაშიას ქუჩაზე, 298 გრძივ მეტრზე, სასაფლაოს შიდა გზაზე; ღირებულებით - 1 431 139 ლარი;

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში - 580 გრძივ მეტრზე, საწულეისკირიოს უბნის გზაზე; ღირებულებით - 241 400 ლარი;

ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში - 2 637 გრძივ მეტრზე, ცენტრალურ გზაზე; ღირებულებით - 745 335 ლარი;

უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის ლეხაბურზანიესა და ლეკორშიეში - 638 გრძივ მეტრზე, შიდა საუბნო გზებზე; საერთო ღირებულებით - 236 791 ლარი;

მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში - 1 371 გრძივ მეტრზე, ჭუბაბრიების და მილორავების უბნების გზებზე; ღირებულებით - 549 080 ლარი;

გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულის საკუპრეიშვილოში - 920 გრძივ მეტრზე, შიდა საუბნო გზაზე; ღირებულებით - 397 649 ლარი;

ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში - 620 გრძივ მეტრზე, ეწერის უბნის გზაზე; ღირებულებით - 219 024 ლარი;

ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ლებალათურიეში - 2 480 გრძივ მეტრზე, სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე; ღირებულებით - 219 024 ლარი.

**ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით – დავასრულეთ საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები:**

თეფანიას ქუჩაზე, სადაც რეაბილიტირდა გზის ბოლო მონაკვეთი, ღირებულებით - 45 963 ლარი;

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც კეთილმოეწყო სოფელ ძველი სენაკის შიდა საუბნო გზა, ღირებულებით - 35 036 ლარი;

საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე - რეაბილიტირდა გზა და მოეწყო საყრდენი კედელი, ღირებულებით - 74 142 ლარი.

განვახორციელეთ ქალაქის ცენტრალური მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით - 414 444 ლარი.

დასრულების ეტაპზეა სენაკის სამშობიარო სახლის რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით - 579 940 ლარი.

ვაგრძელებთ სახელოვნებო-საგანმანათლებლო კერის - დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის პროექტს, ღირებულებით - 391 599 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ღირებულებით - 371 100 ლარი, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე რიონზე გადასასვლელი ამორტიზირებული ბორანი ახლით შევცვალეთ.

ჩემი მერობის პერიოდში, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე განვახორციელეთ: მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები; ბორნისკენ მისასვლელ, სამ კილომეტრამდე გზის მონაკვეთზე, დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი; მოვაწყვეთ გარე



განათების სისტემა; ტურისტული სივრცის მოწყობის კუთხით - საპიკნიკე და საკემპინგე ლოკაციები.

მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯტის დაფინანსებით, განვახორციელეთ:

ნაფეტვარიძის ქუჩაზე, ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის, სახურავის და ეზოების კეთილმოწყობის პროექტი, ღირებულებით - 397173 ლარი;

სრულად რეაბილიტირდა აკაკი ელიავასა და კლდიაშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, ღირებულებით - 137 868 ლარი;

ასევე, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის შენობის სახურავი და მოეწყო მუზეუმის ეზო, ღირებულებით - 39 902 ლარი;

ილია ჭავჭავაძის ქუჩის N37-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში დამონტაჟდა ლიფტი, ღირებულებით - 49 294 ლარი;

ქალაქში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში მოეწყო რკინის კარები, ღირებულებით- 127 800 ლარი.

**2024 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩავატარეთ შემდეგ ლოკაციებზე:**

ქალაქად, ჯიხას ქუჩაზე, ღირებულებით - 11 328 ლარი; ჭალადიდელის ქუჩაზე, ღირებულებით - 106 622 ლარი; გეგელიას ქუჩაზე, ღირებულებით - 11 052 ლარი; თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანში, ღირებულებით - 31 651 ლარი.

**სტიქიის პრევენციისთვის**

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 4 420 000 ლარის ფარგლებში, 53 ინფრასტრუქტულ პროექტს ვახორციელებთ, რომელთაგან, პროექტების დიდი ნაწილი დავასრულეთ.

სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში:

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გოლასკურში, ცენტრალურ გზაზე, რეაბილიტირდა გაბიონი, ღირებულებით - 10 956 ლარი;

უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში:

ლეგოგინეს უბანში რეაბილიტირდა 2 დაზიანებული ხიდ-ბოგირი, ასევე აღდგენილია 3 დაზიანებული მილხიდი, ღირებულებით - 95 865 ლარი;

ლეგაბელიეს უბანში დავასრულეთ დაზიანებული მილხიდის აღდგენის სამუშაოები, ღირებულებით - 30 610 ლარი;

**ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში:**

მდინარე ტეხურზე მიმდინარეობს ხიდის მშენებლობის მასშტაბური პროექტი, ღირებულებით - 1 654 963 ლარი;

რეაბილიტირდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდი, ღირებულებით - 44 173 ლარი;

სოფელ ბეთლემში. ტურისტული სივრცის მიმდებარედ, მოვაწყვეთ გაბიონი, ღირებულებით - 26 090 ლარი;

ლეცეკვაოს უბანში განვახორციელეთ ბეწვის ხიდის ბურჯის გამაგრებითი სამუშაოები, ღირებულებით -15 052 ლარი;

ლებალათურიეს უბანში რეაბილიტირდა დაზიანებული ხიდ-ბოგირი, ღირებულებით - 64 144 ლარი;

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)

(გაგრძელება)

სოფელ ბეთლემში მოეწყო ბეწვის ხიდი, ღირებულებით - 161 714 ლარი;

აღვადგინეთ ლეძაძამე-ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის დაზიანებული მონაკვეთი - 238 999 ლარი;

**ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

ციზეთის უბანში აღვადგინეთ გზის დაზიანებული მონაკვეთი, ღირებულებით - 34 053 ლარი;

პატარა ზანაში რეაბილიტირდა დაზიანებული ბეწვის ხიდი, ღირებულებით - 239 512 ლარი;

სადადიონოს უბანში აღდგენილია დაზიანებული მილხიდის სათავისები, რეაბილიტირდა გვერდულები, ღირებულებით - 25 092 ლარი;

**ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

სოფელ საცხვიტაოში მიმდინარეობს მდინარე ცივზე მდებარე ლითონის ხიდის მშენებლობის პროექტი, ღირებულებით - 858 889 ლარი;

სოფელ შრომისკარში რეაბილიტირდა 3 დაზიანებული მილხიდი, ასევე ჩატარდა სანიაღვრე სისტემის გაწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 77 206 ლარი;

სახუნჯუოს უბანში, მდინარე ეკუსკურზე, რეაბილიტირდა დაზიანებული ხიდი, ღირებულებით - 17 991 ლარი;

ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში:

სოფელ ლებაღათურეში კეთილმოეწყო სანიაღვრე სისტემა, ღრებულებით - 51 373 ლარი;

ლეკაკულიეს უბანში რეაბილიტირდა სანიაღვრე არხის დაზიანებული ჯებირი, ღირებულებით - 74 298 ლარი;

აღვადგინეთ თერმულ წყლებთან ჩასასვლელი დაზიანებული გზა, ღირებულებით - 372 398 ლარი;

აღდგენილია ჯიხას უბნის გზა, ღირებულებით - 20 327 ლარი;

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში:

რეაბილიტირდა დაზიანებული ხიდი, ჩატარდა სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 7 045 ლარი;

სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოები ასევე ჩატარდა საარჩაიოს უბანში, ღირებულებით - 3 788 ლარი;

საჯაკობიოს უბანში მოეწყო დამცავი ჯებირი, ღირებულებით - 53 726 ლარი;

სხივის ქუჩაზე მოეწყო მილხიდი, ღირებულებით - 2 586 ლარი;

მილხიდი ასევე მოეწყო ზემო კოტიანეთში, ღირებულებით - 12 632 ლარი;

სოფელ კოტიანეთის საარახამიოს უბანში მოეწყო გაბიონი და ჩატარდა სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 30 206 ლარი;

პატარა შხეფის უბანში აღდგენილია დაზიანებული ხიდი, ღირებულებით - 31 115 ლარი;

საქანთარიოსა და სადავითაიოს უბნებში ჩატარდა სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 26 674 ლარი;

სოფელ საჩიქობავოში აღდგენილია დაზიანებული მილხიდი, ღირებულებით - 12 174 ლარი;

სტიქიის შედეგად დაზიანებული მილხიდები ასევე რეაბილიტირდა სოფელ კოტიანეთში, ღირებულებით - 44 266 ლარი;

ზანის ადმინისტრაციული ერთეულის ეწერისა და საშურღაიოს უბნებში რეაბილიტირდა დაზიანებული ხიდ-ბოგირები, ღირებულებით - 6 790 ლარი;

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში:

სოფელ პერტულში რეაბილიტირდა დაზიანებული ხიდი, ღირებულებით - 230 754 ლარი;

გაღმა სახარბედიოში აღდგენილია დაზიანებული მილხიდი, ღირებულებით - 12 025 ლარი.

ქალაქად, სანიაღვრე არხები მოეწყო;

გორის ქუჩაზე, ღირებულებით - 13 388 ლარი;

ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, ღირებულებით - 58 302 ლარი;

არჩაიას ქუჩაზე, ღირებულებით - 37 385 ლარი;

დემურიას ქუჩაზე, ღირებულებით - 24 887 ლარი;

ფოთის ქუჩაზე, ღირებულებით - 76 726 ლარი;

ცაგარელის ქუჩაზე, ღირებულებით - 66 416 ლარი;

ჭყონდიდელის ქუჩაზე, ღირებულებით - 163 887 ლარი.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ჯებირები მოეწყო:

კოსტავას ქუჩაზე, ღირებულებით - 33 867 ლარი;

სილოვან შამათავას ქუჩაზე, ღირებულებით - 21 296 ლარი;

26 მაისის ქუჩაზე, ღირებულებით - 102 126 ლარი;

მშვიდობის ქუჩაზე, ნატოჩაოს უბანში, N56 საცხოვრებელ სახლთან, ღირებულებით - 116 530 ლარი;

თეფანიას ქუჩის N41-თან, ღირებულებით - 29 287 ლარი;

გორგასლის ქუჩის N97-თან, ღირებულებით - 4 878 ლარი;

ვაჩნაძის ქუჩაზე, ღირებულებით - 37 675 ლარი.

დაზიანებული ხიდები რეაბილიტირდა:

დემურიას ქუჩაზე, ღირებულებით - 90 644 ლარი;

გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, ღირებულებით - 25 651 ლარი.

თბილისის ქუჩის შესახვევში, ღელე ხაბაზეთზე, ღირებულებით - 45 156 ლარი;

სტიქიის შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურა აღდგენილია ქუთაისის პირველ შესახვევში, ღირებულებით - 119 462 ლარი;

სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები რეაბილიტირდა:

ჭავჭავაძის N39-ში, ღირებულებით - 87 888 ლარი;

ჭყონდიდელის N1-ში, ღირებულებით - 158 990 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი, 2023 წლის 29-30 სექტემბრის სტიქიის საკონპენსაციო თანხის - 19 292 ლარის ფარგლებში, დახმარება გავუწიეთ





სტიქიის შედეგად დაზარალებულ 30 ოჯახს;

ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი, 2024 წლის 6 თებერვლის სტიქიის საკონპენსაციო თანხის - 4 270 ლარის ფარგლებში, დახმარება სტიქიის შედეგად დაზარებულ 12 ოჯახს გაეწია.

**ნაპირსამაგრი სამუშაოები**

2024 წელს. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები დავასრულეთ მდინარე რიონზე - სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ტყირში, ღირებულებით - 3 988 888 ლარი;

ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისულაში, ღირებულებით - 1 360 990 ლარი.

2023 წელს დავიწყეთ და მიმდინარე წელს დავასრულეთ მასშტაბური ნაპირსამაგარი სამუშაოები ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის საგვიჩიოს უბანში, ღირებულებით - 4 888 888 ლარი.

**სამელიორაციო და დაშრობითი სამუშაოები**

2024 წელს, შპს "საქართველოს მელიორაციის" დაფინანსებით, სამელიორაციო და დაშრობითი პროექტები განვახორციელეთ 4 ადმინისტრაციულ ერთეულში -ახალსოფელში, ზემო ჭალადიდში, თეკლათსა და ნოსირში, ღირებულებით - 298 600 ლარი.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, 404 ჰა-ზე, ჩავატარეთ 23 582 გრძივი მეტრი სადრენაჟე არხის ამოწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 75 464 ლარი;

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, 165 ჰექტარზე განვახორციელეთ წყალშემკრები არხების ამოწმენდის ორი პროექტი:

65 000 გრძივი მეტრი არხის ამოწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით - 105 000 ლარი;

12 500 გრძ მეტრი არხის კეთილმოწყობის პროექტი, ღირებულებით - 27 000 ლარი;

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, 30 ჰაზე, ამოიწმინდა 3 160 გრძივი მეტრი არხი, ღირებულებით - 10 622 ლარი;

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, 75 ჰექტარზე, 5 950 გრძივი მეტრი სადრენაჟე არხის ამოწმენდით სამუშაოებზე - 42 914 ლარი დაიხარჯა;

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულების ეტაპზეა - 60 ჰა-ზე, 2 000 გრძივი მეტრი არხის კეთილმოწყობის პროექტი, ღირებულებით - 37 600 ლარი.

**დავიწყეთ უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი** –

სენაკის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში: სენაკის I ზონაში მოეწყობა წყალსადენის ახალი ქსელი, არსებული ლითონის და თუჯის მილები ახლით შეიცვლება; აშენდება მაგისტრალური მილსადენი; დამონტაჟდება ინდივიდუალური წყალმზომები; განხორციელდება ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში არსებული 25-ვე საცხოვრებელი კორპუსის, მშვიდობის ქუჩის N105; ურიდიას N26, N28; სამტრედიის ქუჩის N12 და N16-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანების მასშტაბური პროექტები; სრულად განახლდება 17 ჭაბურღილი.

პროექტს, ღირებულებით - 51 295 570 ლარი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქი პირველი და 12-ვე ზონის, მენჯის, ახალსოფლის, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების: საბესელიოს, საოდიშარიოს, საკილასონიოს, ნოსირის, შუა და მეორე ნოსირის, ასევე - მიმდებარე სოფლების მოსახლეობა 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

**გაზიფიცირება**

2024 წელს, გაზსადენის ქსელზე დაერთდა 300 აბონენტი; გაზსადენის მაგისტრალი მოეწყო - 5 116 გრძივ მეტრზე; ღირებულებით - 108 130 ლარი.

გაზგასადენის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს დავიწყებთ: ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელში - ფოცხოში, ლეგოგიეში, ნასაჯუში, მოხაშსა და მეორე მოხაშში;

ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის 6 სოფელში: შუა ხორშში, დიდ ხორშში, პატარა ზანაში, სადადიანოში, საგუგუნავოსა და ციზეთში.

**გარე განათების ქსელის მოწყობისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგების პროექტები:**

2024 წელს, გარე განათების ახალი ქსელი მოვაწყვეთ თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულსა და თამარ მეფის ქუჩაზე.

ქალაქის მასშტაბით, 5 მინი სპორტულ მოედანზე, მზის ენერგიაზე მომუშავე გარე განათება დამონტაჟდა.

გარე განათების ქსელი განახლდა ქალაქის 200-ზე მეტ ქუჩასა და მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, ღირებულებით - 80 996 ლარი.

ქალაქად და ადმინისტრაციულ ერთეულებში, სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და არხების ამოწმენდის სამუშაოებზე - 178 000 ლარი დაიხარჯა.

თეკლათის, მენჯის, შხეფის, საკალანდარიშვილოს, ძმათა და ნოსირის სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - 67 274 ლარი.

სამუშაოები, სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრმა, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განახორციელა.

(გაგრძელება მეხუთე გვერდზე)

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2024 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

**,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში:**

2024 წელს, მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, ჩვენს მუნიციპალიტეტს, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 45 ინფრასტრუქტურული პროექტი შევმატეთ, რისთვისაც, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან 738 000 ლარი გამოიყო.

2021 - 2023 წლებში, ჩემი მერობის პერიოდში, მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 146 პროექტი განვახორციელეთ, რომელთა ღირებულებამ 2 270 709 ლარი შეადგინა.

**სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა 2024 ის ფარგლებში:**

ქალაქში, ორი პროექტი დავასრულეთ:

მშვიდობის ქუჩაზე არსებულ მუნიციპალურ სკვერში, მოვაწყვეთ დასასვენებელი სივრცე და სპორტული ტრენაჟორი, ღირებულებით - 42 506 ლარი;

სანაიას ქუჩის N42-ის მიმდებარედ, მუნიციპალურ სკვერში, ასევე მოვაწყვეთ დასასვენებელი და საბავშვო ატრაქციები, ღირებულებით - 48 403 ლარი.

ჩემი მერობის პერიოდში, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, 5 პროექტი განვახორციელეთ.

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის - ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში:

ჩვენს მუნიციპალიტეტს 18 ინფრასტრუქტურული პროექტი შევმატეთ, რომელთა საერთო ღირებულება 349 665 ლარს შეადგენს:

ქალაქად - ფიროსმანის, რიონის ქუჩების ბოლო მონაკვეთში, სიმონ ჯანაშიას მესამე ჩიხის ბოლო დასახლებულ მონაკვეთსა და 12 ადმინისტრაციულ ერთეულში, განვახორციელეთ გზების მოხრეშვა-მოშანდაკების პროექტები, საერთო ღირებულებით - 221 908 ლარი;

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონი, ღირებულებით - 6 403 ლარი;

ქალაქად - დავით აღმაშენებლის, აკაკი ელიავას, შოთა რუსთაველის ქუჩებზე, ხორავასა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე - დავასრულეთ შუქნიშნების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 120 000 ლარი.

**სოფლის მეურნეობის განვითრების მხარდაჭერის ფარგლებში:**

სახელმწიფო პროგრამის - „დანერგე მომავალი" ფარგლებში, გაშენდა 135 ჰექტარი მრავალწლიანი კულტურების ბაღი: დაფნა, ტყემალი, თესლოვანი კულტურები.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: 15 ფერმა; 4 სასათბურე მეურნეობა; მზის ენერგიაზე მომუშავე 5 ელექტროსადგური.

5 500 ჰექტარზე დაითესა ერთწლიანი მარცვლეული კულტურები: სიმინდი, სოია.

თხილის წარმოების სახელმწიფო პროგრამით 2 000-ზე მეტმა ფერმერმა ისარგებლა; შეღავათიანი აგროკრედიტით - მიწის 500-ზე მეტმა მესაკუთრემ.

მიმდინარეობს მეთხილე ფერმერთა რეგისტრაცია, ასევე - შეღავათიანი აგროკრედიტით მოსარგებლე ფერმერთა დაფინანსების პროცესი.

2024 წელს, სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში: ჩავატარეთ ადგილობრივი ფერმერების საჭიროებების კვლევა, სექტორში არსებული ვითარების ანალიზი და ფერმერების საჭიროებების გამოვლენა.

მიმდინარე წელს, პირველად, დავნერგეთ პროგრამა - ,,სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით", რომლის ფარგლებში, დავაფინანსეთ 5 პროექტი: ,,გარემო - ყვავილებისთვის"; ,,მზის ენერგია - დანახარჯების დაზოგვისა და ეკოლოგიური გარემოს შექმნისთვის"; ,,იშვიათი ჯიშების შინაური ფრინველების მოშენება, რეპროდუქცია და რეალიზაცია"; ,,ჯოკას ქოხი" - აგროტურისტებისთვის; ,,ფუტკრის ოჯახების მოშენება".





პროგრამის ბიუჯეტი - 15 000 ლარი.

მიმდინარე წელს, ასევე პირველად დავნერგეთ ფერმერთა უწყვეტი განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებში სენაკელ ფერმერს, შვეიცარიის აგრარულ სკოლაში, ევროპული ყველის ნაირსახეობების დამზადების ტექნოლოგიის სასწავლო კურსის საფასური დავუფინანსეთ.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მოვაწყვეთ აგროტური, რომლის ფარგლებში, სენაკელმა მეწარმეებმა და ფერმერებმა მონაწილეობა მიიღეს გურჯაანიის ღვინის ფესტივალზე.

პროექტის - ,,მერების შეთანხმება" ფარგლებში:

დავიწყეთ „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმით" გათვალისწინებული საადაპტაციო და სამოტივაციო ღონისძიებების განხორციელება:

პროექტის - „ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა სენაკის მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, შევიძინეთ 25 ერთეული ენერგოეფექტური ღუმელი.

15 ერთეული ენერგოეფქტური ღუმელი ქალაქის №N1, N2, N6 და ზემო ჭალადიდის საბავშვო ბაღებს გადავეცით; 10 ერთეული საოჯახო ტიპის ენერგოეფექტური ღუმელი კი - ზემო ჭალადიდისა და უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადავეცით.

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საბავშვო და ბაგა-ბაღებში ჩავატარეთ ენერგოაუდიტი.

ქალაქად და ადმინისტრაციულ ერთეულებში - 11 მინი სპორტულ სტადიონზე დავამონტაჟეთ მზის ენერგიაზე მომუშავე გარე განათება.

LED სანათებით, გარე განათების ახალი ქსელი მოვაწყვეთ და არსებული განვაახლეთ ქალაქის 176 ქუჩაზე - 6 100 ბოძზე და 8 ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც სოფლების ნაწილში მზის ენერგიაზე მომუშავე გარე განათება დამონტაჟდა, ნაწილი კი - LED სანათებით ჩანაცვლდა.

ენერგოეფექტური სანათები დავამონტაჟეთ სამ რეკრეაციულ სივრცეში.

ქალაქის ცენტრსა და დევნილთა დასახლებაში, 3 ლოკაციაზე, დამონტაჟდა მზის ენერგიაზე მომუშავე ენერგოეფექტური სკამები, რომელთაგან ერთი - ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ორი - გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია ,,დეას" მიერ იქნა შეძენილი.

**პროექტის - ,,მერების შეთანხმება" ფარგლებში:**

აღვნიშნეთ მდგრადი ენერგეტიკის დღე; მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო ფორუმზე - "თანამშრომლობა მდგრადი და მედეგი განვითარებისათვის: ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და თემების გამოწვევები და შესაძლებლობები"; პანელურ დისკუსიაში - "განახლებადი ენერგიების შესაძლებლობები მუნიციპალურ დონეზე"

პროექტის - ,,Connective Sitiez" ფარგლებში: დავიწყეთ სენაკის მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვით

პროექტის - ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) ფარგლებში, მზადდება სენაკის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პროფილი.

2025 წლიდან ვგეგმავთ: ორი პროექტის განხორციელებას - სენაკის ტექნოპარკთან თანამშრომლობით: ,,მოარგე ტექნოლოგია შენს ბიზნესს"- ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერების გაძლიერება ინოვაციურ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობით;

კლიმატის ცვლილების ღონისძებების პროექტს: Climate Senaki-Innovate for Climate action, რაც, გარემოსადაცვითი ინჟინერიისა და მწვანე ტექნოლოგიების მიმართულებით.

**გარემოს დაცვითი აქტივობების ფარგლებში:**

დედამიწის დღეს მიეძღვნა ჩვენი მხარდაჭერით გამართული გამწვანების აქცია, ფორუმი და მზის ენერგიაზე მომუშავე ენერგოეფექტური სკამის გახსნა.

საქართველოს ეროვნული გმირების სახელობის სკვერში 70 ნერგი დაირგო.

აქტივობა - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია "დეას" ორგანიზებით, №EU4Dialogue პროექტის ფარგლებში გაიმართა.

**ტურიზმის ხელმისაწვდომობისთვის**

2024 წელს ტურისტული განვითარებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით განვახორციელეთ შემდეგი პროექტები:

საინფორმაციო მიმართულების მანიშნებელი დაფები განთავსდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ არქეოლოგიურ, არქიტექტურულ, რელიგიური დანიშნულების ობიექტებსა და ბუნების ძეგლებამდე მისასვლელ ლოკაციებზე;

შხეფის ციხეზე მოვაწყვეთ განათების ახალი სისტემა და ტურისტული ინფრასტრუქტურა;

ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ-ტურისტული განვითარების ფარგლებში, 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ,,Camala Production" მიერ, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების სერიიდან: ,,იარე ჩვენთან ერთად...", მომზადდა ფილმი - სენაკზე;

მომზადდა ინტერაქტიული რუკა, რამაც, Google Maps-ით, ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაციის მოძიება მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული არქეოლოგიური, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების, ტურისტული ლოკაციებისა და მარშრუტების შესახებ;

მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი - მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ; სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან თანამშრომლობით, ასევე მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები - გამორჩეულ ტურისტულ ლოკაციებზე, მუნიციპალიტეტში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებზე, ნოქალაქევის უძველეს ციხე-ქალაქსა და მდინარე ტეხურის კანიონზე.

დაგეგმილი გვაქვს: სენაკის მუნიპალიტეტში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების/ობიექტების პასპორტიზაცია; საკალანდარიშვილოს ციხეზე - განათების ახალი სისტემისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

**საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტები:**

სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ვახორციელებთ 3 საჯარო სკოლის: სსიპ ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტს, ღირებულებით - 2 794 373 ლარი;

სსიპ ხორშის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშოებს, ღირებულებით - 2 249 179 ლარი;

სსიპ უშაფათის საჯარო სკოლის სრულად კეთილმოწყობის პროექტი, ღირებულებით -- 2 326 925 ლარი;

(გაგრძელება მეექვსე გვერდზე)

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2024 წლის ანგარიში

(გაგრძელება)







მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო ღირებულება 7 370 477 ლარს შეადგენს.

**საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში**, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ვახორციელებთ 4 საბავშვო ბაღის: სენაკის მე-3 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტს, ღირებულებით 4 073 214 ლარი; ძველი სენაკის, ლეძაძამეს და ფოცხოს საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 3 800 000 ლარი.

2024 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების საბავშვო და ბაგა-ბაღისთვის, შევიძინეთ: საბავშვო წიგნები, ღირებულებით - 9 949 ლარი; სათამაშოები, ღირებულებით - 9 994 ლარი; ტელევიზორები და მუსიკალური ცენტრები - საერთო ღირებულებით - 7 764 ლარი; ფორტეპიანოები, ღირებულებით - 9 750 ლარი; საყოფაცხოვრებო ნივთები, საერთო ღირებულებით - 45 793 ლარი; სასაჩუქრე ნობათები - საბავშვო და ბაგა-ბაღებისა და სასკოლო მზაობის ჯგუფების აღსაზრდელთათვის, ღირებულებით - 16 457 ლარი; ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებები, საერთო ღირებულებით - 14 065 ლარი; საბავშვო და ბაგა-ბაღებისთვის - ზამთრისთვის შეშის შესაძენად, საერთო ღირებულებით - 69 657 ლარი.

**განათლების და კულტურის ხელმისაწვდომობისთვის**

2024 წელი დავიწყეთ პროექტით - ,,ქართული თეატრის ამბავი ანუ..." - მოგზაურობა ქართული თეატრის დროსა და სივრცეში;

პროექტის - ,,დედას, ქალს, გაზაფხულს..." ფარგლებში, ვესტუმრეთ მუნიციპალიტეტის უხუცეს ქალბატონებს, გავმართეთ საღამო - ლაშა ღლონტი ოჯახთან ერთად; დავაჯილდოვეთ ნახევარ საუკუნეზე მეტი ღვაწლის მქონე, სენაკის მუნიციპალიტეტში მოღვაწე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ქალბატონები.

**გაიმართა:** მუსიკალურ-კოსტიუმირებული სპექტაკლის - "ჩიპოლინოს თავგადასავალი" პრემიერა; წმინდა ალექსი სენაკელის აღსრულებიდან 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; ლიტერატურული კომპოზიცია - ,,ჩვენთან ასე კვდებიან პოეტები..." - წარმატებული სენაკელი ახალგაზრდის, უშანგი ჩიქობავას მონაწილეობით; საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეული; გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერლის, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული; მე-11 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - ,,სენაკის არტ-ფესტი 2024"; რეგიონული თეატრების X საერთაშორისო ფესტივალი; ახალგაზრდული კვირეული; ფესტივალი - "სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე"; ავსტრიის კამერული ორკესტრის ,,არპეჯიონე" კონცერტი; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ ,,მართვეს" სოლო კონცერტი - ,,ეს სიმღერაა საქართველოსი".

**აღვნიშნეთ:** საქართველოს ეროვნული გმირის, პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, სენაკის ღირსეული შვილის, ჟიული შარტავას დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღი; 88 წელი - ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული საქართველოს ეროვნული გმირის, სენაკის ღირსეული შვილის, გენერალ-მაიორ გენო ადამიას დაბადებიდან; 77 წელი - საქართველოს ეროვნული გმირის, სოხუმის მერის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს წევრის, ჟიული შარტავას თანამებრძოლის, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის საამაყო შვილის, გურამ გაბესკირიას დაბადებიდან; ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე; ბოშათა საერთაშორისო დღე; ,,მადლობა თავისუფლებისთვის", ,,მადლობა სამაგალითო ერთობისთვის..." – 35-ე 9 აპრილი; 79 წელი - მეორე მსოფლიო ომიდან; ევროპის დღე; ოჯახის სიწმინდის და მშობლების პატივისცემის დღე; ეროვნული სამოსის და მუზეუმების საერთაშორისო დღეები; ,,რაც გვეამაყება და გვაერთიანებს" - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე სენაკში; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე; ,,ვეფხისტყაოსნის" დღე; 16 წელი აგვისტოს ომიდან; ,,ჩვენი ქალაქის დღე"; სოხუმის დაცემიდან და საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას გმირული აღსასრულიდან 31-ე 27 სექტემბერი; მასწავლებელთა საერთაშორისო დღე;

ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, გაიმართა: პრემიერა ისტორიულ -დოკუმენტური სპექტაკლისა - ,,განათლება - გზა ხსნისა''; დავაჯილდოვეთ განათლების, სკოლამდელი აღზრდის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროებში მოღვაწე პედაგოგები, რომელთაც 2023-2024 სასწავლო წელს გამორჩეულ წარმატებებს მიაღწიეს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის - ,,ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში, ჩვენი სახელისუფლებო გუნდის მხარდაჭერით, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და მასთან არსებული მასწავლებელთა ასოციაციის - ,,განათლების ელჩები" ორგანიზებით, 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის წარჩინებულ 41 სენაკელ მოსწავლეს პერსონალური კომპიუტერი გადავეცით.

სახალხო დღესასწაულის ,,ეგრისობა 2024-ის" ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების, მუნიციპალური აიპების, საჯარო სკოლების, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ჩართულობით, მოეწყო - ისტორიულ-ეთნოგრაფიული სივრცეები, გამოფენები, შემოდგომის კუთხეები, შემეცნებითი და გასართობი ატრაქციები; შედგა - ჩემი მერობის პერიოდში განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ქალაქის საიმიჯო კლიპის - ,,გულისფერი სენაკის" პრეზენტაციები; დავაჯილდოვეთ 2024 წლის საპატიო სენაკელები; გაიმართა გალა კონცერტი.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტების ფარგლებში, ჩვენს ქალაქში გაიმართა: რუსთაველის ეროვნული თეატრის, კოტე მარჯანიშვილის, აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების, თავისუფალი თეატრისა და ფოლკლორული ანსამბლის ,,რუსთავი" გასტროლები.

2024 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე 85 ღონისძიებაში;

სამხედრო მოსამსახურეების დაფასებისა და მათზე ზრუნვის პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა;

წარმატებით განხორციელდა შემოქმედებითი პროექტები: ''ხელოვნების საკვირაო სკოლა'', ''ხელოვნების საზაფხულო სკოლა'', ,,შემეცნებითი ტურები";

გაიმართა თემატური საღამოები, გამოფენები, ანსამბლ ,,გოგალაის" საგასტროლო ტურნეები -ბალტიისპირეთის ქვეყნებში;

სამხატვრო სკოლაში გაიხსნა აბიტურიენტთა მოსამზადებელი ჯგუფი ხატვაში - უმაღლესი სასწავლებლების შემოქმედებითი ტურებისთვის

2024 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა: ჯგუფ ,,ურსას" და მოსწავლე -ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებული ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლის პირველი სოლო კონცერტი; ფოლკლორული მუსიკის საღამო - ვაჟთა ანსამბლ ,,მუსიკელისა" და ლატვიის ქალთა ანსამბლ ,,უნდინესის" მონაწილეობით; შეხვედრა-ბენეფისი საქართველოს სახალხო არტისტთან, ლეო ანთაძესთან; თეოფანე დავითაიას ხსოვნის საღამო; შალვა დადიანი 150; წიგნის - ,,სენაკის მატეანე" - პრეზენტაცია; ტურისტული კლუბის - ,,მწვანე მოლაშქრეები" შემეცნებითი და გარემოსდაცვითი აქტივობები; საჯარო, საბავშვო და ადმინისტრაციული ერთეულების ბიბლიოთეკების საანგარიშო კონფერენცია; თეატრალური წარმოდგენები; გამოფენები; თემატური ღონისძიებები; ,,კოლხური ტრიოს" და ანსამბლ ,,მუსიკელის" საგასტროლო ტურნეები;

აღინიშნა: საქართველოს სახელმწიფო დროშის, ქართული თეატრის, მსოფლიო ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის, მსოფლიო ტოლერანტობის, ტურიზმის, მუზეუმების, ეროვნული სამოსის, წიგნის საჯაროდ კითხვის, დედაენის დღეები.

2024 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ორგანიზებით გაიმართა: თემატური, საგანმანათლებლო, სახალისო-შემეცნებითი აქტივობები.

**2024 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავაფინანსეთ:**

ქალაქის საიმიჯო კლიპი - ,,ჩვენი გულისფერი სენაკი", რომლის პრეზენტაცია ტელეკომპანია ,,იმედის" ეთერით, გადაცემაში - ,,ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად" შედგა;

ჩვენი ქალაქის თეატრალური დასის სპექტაკლი - ,,კაცია-ადამიანი?!"

ანსამბლ ,,გოგალაის'' საგასტროლო ტურნე - ბალტიისპირეთის ქვეყნებში;

ანსამბლ ,,მუსიკელის'' საგასტროლო ტურნეები - შტუდგარდსა და ჰილდესაიმში, ქართული ტრადიციული კულტურისა და მუსიკის ფესტივალზე;

პროექტის - ,,სხვა საქართველო სად არის?!'' ფარგლებში, მასტერკლასები - ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისთვის;

საცხენოსნო შეჯიბრი - ისინდსა და ცხენბურთში.

**ფულადი ჯილდოები გადავეცით:**

გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერლის, ჯემალ აჯიაშვილის პოეტური შემოქმედებისადმი მიძღვნილ მხატვრული კითხვის კონკურსში გამარჯვებულ სენაკელ მოსწავლეებს - საბა სიგუას, ალექსი ჟვანიას, გოჩა ცომაიას და დავით კვირკველიას;

,,ვეფხისტყაოსნის" დღისადმი მიძღვნილ კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულ სენაკელ მოსწავლეებს - ეთერ ეჯიბიას, ანრი ღვინჯილიას და გიორგი კანკიას;

2024 წლის ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი გრანტის მფლობელ სენაკელ კურსდამთავრებულებს - ზურაბ ხარგელიას, ანა კემულარიას, მაგდა ძაძამიას, მათე მამულიას, ირაკლი ჯანაშიას, ლუკა ხარებავას, ლიზი კაჭარავას, თედო ლორჩოშვილს.

(გაგრძელება მეშვიდე გვერდზე)

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2024 წლის ანგარიში

**(დასასრული)**

**სპორტის განვითარებისთვის**

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, დავასრულეთ სამი სპორტული მოედნის მშენებლობა:

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღირებულებით - 65 953 ლარი;

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღირებულებით - 78 106 ლარი;

საჯაიას ქუჩის მიმდებარედ, ღირებულებით - 30 941 ლარი.

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ტრენაჟორები მოეწყო: ვაჩნაძის ქუჩაზე, ღირებულებით - 39 096 ლარი; ღვინჯილიას ქუჩაზე, ღირებულებით - 38 681 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე, დავასრულეთ ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, ღირებულებით - 497 777 ლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით და მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, ჩვენი ახალგაზრდების თხოვნის გათვალისწინებით, მინი სპორტული მოედნები მოვაწყვეთ სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გოლასკურსა და ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის გახომელას უბანში, საერთო ღირებულებით - 215 513 ლარი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ორი მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - ბელიაშვილისა და ვახტანგ გორგასალის ქუჩებზე, საერთო ღირებულებით - 197 792 ლარი.

ჩემი მერობის პერიოდში, სენაკის მუნიციპალიტეტს, 9 მინი სპორტული მოედანი შევმატეთ.

მიმდინარე წელს, შევიძინეთ ოლიმპიური სტანდარტების კრივის რინგი, ღირებულებით - 27 500 ლარი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენს ქალაქში გავმართოთ საერთაშორისო ტურნირები და ოლიმპიადები.

2024 წელს, ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადის-"თამაშები ჩავატარეთ სპორტის 6 სახეობაში - 100მ.-ზე სირბილში, ბადმინტონში, 3X3 კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში;

ჩვენი ქალაქის სპორტის ისტორიაში, წელს, პირველად, ვუმასპინძლეთ სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფინალურ თამაშებს;

ჩავატარეთ მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირი - "მოყვარულთა თასი 2024";

აღვნიშნეთ ევროპის სასკოლო სპორტის დღე, რომლის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის სასკოლო გუნდებს შორის - სპორტის ოთხ სახეობაში - ფეხბურთში, კალათბურთში, 100 მ.-ზე სირბილსა და მაგიდის ჩოგბურთში, ჩავატარეთ "თავისუფლების თამაშები".

**ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დავაფინანსეთ:**

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების თექვსმეტწლამდელ კალათბურთელთა გუნდის საუკეთესო კალათბურთელი, **ლუკა ჩიქობავა** - ესპანეთის კალათბურთის აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად;

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების თექვსმეტწლამდელ კალათბურთელთა გუნდი - საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად;

საქართველოს ვეტერან ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, სენაკელი სპორტსმენი, **ელგუჯა გვასალია** - ძიუდოში - ძიუდოისტთა ტურნირზე გასამგზავრებლად;

სენაკელი ტაეკვონდოისტები - საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად;

დავაფინანსეთ: ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024"-ის სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონული ეტაპის ყველა სახეობაში მონაწილე სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდების ტრანსპორტირება;

ნოსირის საფეხბურთო გუნდის ,,ნოსირი" - 7X7-ზე ფეხბურთში, დასავლეთ საქართველოს ლიგაში მონაწილეობის მიღების უფლება და ტრანსპორტირება;

შესაბამისი ეკიპირებით უზრუნველვყავით: ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024"-ის სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონული ეტაპის ყველა სახეობაში მონაწილე სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდები და მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირის "მოყვარულთა თასი 2024" - მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული გუნდი "შინდისი".

**2024 წლის მნიშვნელოვანი ფაქტები**

პირველად, ჩვენი ქალაქის ისტორიაში, საგანმანათლებლო სფეროდან, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის მფლობელი, გენო ადამიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი, **მამუკა კუჭავა** გახდა.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე სენაკელი ფალავანი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, ჭაბუკებს შორის ევროპის ორგზის პრიზიორი, 23 წლამდელთა შორის ევროპის პრიზიორი, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, საფრანგეთის გრან-პრის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენისა და 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულების მფლობელი, **გიორგი ჩხიკვაძე**, მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ფალავანს, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიანიჭა ტიტული - 2024 წლის აღმოჩენა - ,,ოლიმპიური იმედი."

საქართველოს ნაკრების წევრმა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა, საქართველოს ორგზის ვიცე-ჩემპიონმა, ჩვენმა საამაყო ფალავანმა, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის სპორტსმენმა, **გიორგი ქვარცხავამ**, მიხეილ სალაძის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლემ, **ანდრია გუგუნავამ**, საერთაშორისო ტურნირზე კარატეში, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლე, **გიორგი ჭანტურია**, 15 წლამდელ ასაკის ჭაბუკთა შორის, საქართველოს ჩემპიონი გახდა და ასევე მოიპოვა ჭადრაკში სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება.

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების თექვსმეტწლამდელ კალათბურთელთა გუნდმა - მწვრთნელი, **შოთა კუჭავა**, სენაკის სპორტის ისტორიაში, პირველად, ბულგარეთის ქალაქ ბურგასში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ტაეკვანდოს აზიის ჩემპიონატში (ICTF) ნორჩმა სენაკელმა სპორტსმენებმა - **ლუკა სიჭინავამ, იოანე გოგოლიშვილმა და ნიკოლოზ გაბედავამ** - მწვრთნელი: ტაეკვანდოს ფედერაციის (ICTF) პრეზიდენტი, ლაშა ჯოლოგუა, - ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს; ტაეკვანდოელები - **ლუკა სიჭინავა, იოანე გოგოლიშვილი, ცოტნე მიშველია, გიორგი ხოფერია, ნიკოლოზ წურწუმია და ოთო დემურია**, ტაეკვანდოში მსოფლიო თასის გამარჯვებულები და პრიზიორები გახდნენ.

ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ვოკალური განყოფილების გოგონათა ანსამბლმა - ხელმძღვანელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, **გრიალა სამინავა**, - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VIII ეროვნულ კონკურსზე, ოქროს მედალი მოიპოვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილების მოსწავლემ, **ლიკა კორსავამ**, თურქეთის ქალაქ სიდეში გამართულ ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა XII საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე, პირველი პრემია და ლაურეატის წოდება, ასევე - ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XVI რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსზე - ,,იპოვე შენი ვარსკვლავი", პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და საორკესტრო (ფლეიტა) განყოფილებების მოსწავლემ, ხალხური საკრავების ჯგუფ ,,მორდუს" და გოგონათა ვოკალური ანსამბლის წევრმა, ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდის სოლისტმა, ხელოვნების ცენტრის საესტრადო განყოფილების კურსდამთავრებულმა, სენაკის XI მუსიკალური ფესტივალის





ლაურეატმა, **ლენა საბისკვერაძემ** და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილების მოსწავლემ, ანასტასია ჩარკვიანმა, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XVI რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსზე - ,,იპოვე შენი ვარსკვლავი", პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვეს

სამუსიკო სკოლის საესტრადო (ვოკალი) და საფორტეპიანო განყოფილებების მოსწავლე, **ნიკოლოზ გრიგოლია**, ქართული სიმღერის I ეროვნული კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი და ლაურეატი გახდა.

ხელოვნების ცენტრის პროექტის - ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა" მოსწავლეს მუსიკის (ვოკალი) მიმართულებით, **ლიზი კილასონიას**, ქართული სიმღერის პირველი ეროვნული კონკურსის პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მიენიჭა.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებულმა ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალურმა ანსამბლმა ,,კოლხი", ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალზე - "ჰარიდა", პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

სენაკელმა ახალგაზრდამ, **ზურაბ ხარგელიამ**, ბიოლოგიაში, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის სამივე ტურში გამარჯვება და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო შედეგების მიხედვით, საუკეთესო ოთხეულში - პირველი ადგილი მოიპოვა. მან მონაწილეობა მიიღო ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, 2024 წლის ბიოლოგიის 35-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაზე.

სენაკელი ახალგაზრდა, **ანასტასია ჯანაშია**, ,,Youth for Georgia's Future-is" მიერ ორგანიზებული პროგრამის - ,,ლიდერი ახალგაზრდებისთვის, **Hagamun-ის"** ფარგლებში, მალაიზიის ახალგაზრდა ელჩი გახდა და ამ სტატუსით მონაწილეობა მიიღო ჰააგაში, საერთაშორისო კონფერენციაზე.

სენაკელი ახალგაზრდა, **ელიზაბეტ (ლიზი) თათარიშვილი**, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გამოცხადებული მოხალისეობისა და სამოქალაქო ჩართულობის გაცვლითი პროგრამის გამარჯვებული გახდა. იგი, საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 20 ახალგაზრდასთან ერთად, აშშ-ში იმყოფებოდა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მასწავლებლის ეროვნული პრემიის მფლობელ პედაგოგს, ტიტულოვან სპორტსმენებს, ხელოვან მოზარდებს და ახალგაზრდებს, გადავეცით ფულადი ჯილდოები.

**ჩვენ – უკეთესი სენაკისთვის**
**ჩვენ – მოსახლეობისთვის**

# ღვაწლმოსილი ექიმი

რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ემსახურო შენს ერს, დადო მცირედი აგური ქვეყნის მშენებლობის კეთილშობილურ გზაზე, რიგითი ჯარისკაცის სულისკვეთებით შექმნა სიკეთე, რომელიც გაღვივდება, გაიფურჩქნება და გადამდები უნარებით აღჭურვავს საზოგადოებას და კიდევ, უფრო დიდი სიქველეა, სხვისი ამ ნიჭის დანახვა, გაანალიზება და დაფასება, რაც საბოლოოდ ადამიანში სამართლიანობის განცდის საწინდარია.

ზემოაღნიშნულის ფორმალური (სამართლებრივი) გამოძახილია ,,საპატიო მოქალაქის" წოდების შემოღება. სენაკის რაიონი გამოირჩეოდა თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურული გენეტიკით, ქალაქის თვითმმართველობა - წამახალისებელი ღონისძიებებით, მუდამ სტიმულირებდა მოქალაქის ნიჭის რეალიზებისთვის სათანადო პირობების შექმნას. მუნიციპალიტეტი წლებია ავლენს და ,,ეგრისობის დღესასწაულის" ცერემონიის ფორმატში საპატიო მოქალაქის წოდებით აჯილდოვებს ადამიანებს, რომლებმაც სენაკის განვითარებაში თავიანთი განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. წლევანდელი წელიც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი, აღნიშნული წოდება მიენიჭა ცამეტ ღვაწლმოსილ ადამიანს, რაც დასტურია სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების განვითრების, აგრეთვე უანგარო სიქველისა და სიმამაცისათვის მოქალაქის პატივგებისა და აღიარებისა. გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია არ ჩამორჩა ჩვენი ქალაქის კულტურული ცხოვრების ამ მაჯისცემას და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა აღნიშნული ღონისძიების გაშუქების საქმეში - მიმდინარე ნომრის სტუმარია, დამსახურებული ექიმი, 2024 წლის სენაკის საპატიო მოქალაქე - ქალბატონი ნინო გეგენავა -

ქალბატონი ნინო დაბადებით სენაკის მკვიდრია, ის ტრადიციებითა და ღირსებით გამორჩეული ოჯახის წარმომადგენლების - დავით გეგენავას და ნაზი ოთხოზორიას შვილია, მან წარმატებით დაამთავრა სენაკის მესამე საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება, სამკურნალო ფაკულტეტის განხრით, ექიმ-თერაპევტის სპეციალობით, მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა სენაკის საავადმყოფოში, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრში; რაიონულ პოლიკლინიკაში, კურორტ მენჯში. ქალბატონი ნინოს სამედიცინო განათლების არეალი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ამ პროფესიის ერთი (თერაპევტის) მიმართულებით, მან 1989 წელს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების და სერტიფიცირების შედეგად მიიღო ექიმ რადიოლოგის კვალიფიკაცია. რადიოლოგად მუშაობდა სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, ამჟამად იმავე მიმართულებით წარმატებით მოღვაწეობს ბავშვთა საავადმყოფოში.

ექიმის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და პროფესიული ღვაწლის უკეთ წარმოსაჩენად გადავწყვიტე უშუალოდ გავსაუბრებოდი ქალბატონ ნინოს.

ვიცით, ექიმობა არის ურთულესი პროფესია, შეიძლება ითქვას, ის გარკვეულწილად განკარგავს ადამიანის ბედს, ექიმზეა დამოკიდებული ადამიანის ჯამრთელობის, სიცოცხლის შენარჩუნება, საინტერესოა რამ გიბიძგათ ექიმობისკენ - რა იყო მოტივატორი, ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამაც ეს პროფესია აგარჩევინათ - ეს იყო შინაგანი მოწოდება გეზრუნათ ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობაზე, ინტერესი - შეგესწავლათ ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჯამრთელობა, თუ ეს პროფესია აირჩიეთ უბრალოდ ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით?



- ექიმის პროფესია ბავშვობიდან მხიბლავდა, რიდით და კრძალვით შევცქეროდი ექიმებს. ჩემს ბავშვურ ფანტაზიებში ვლინდებოდა ამ პროფესიისადმი დამოკიდებულება, ალბათ ამიტომაც თოჯინებს ,,ვსინჯავდი, ვმკურნალობდი, ვზრუნავდი მათ გამოჯამრთელებაზე".

სასკოლო ასაკში კი ოცნებად გავიხადე ვყოფილიყავი ექიმი ან ფილოლოგი (ქართული ენისა და ლიტერატურუის მასწავლებელი).

ორივე სპეციალობას უფალთან წილნაყარად აღვიქვამდი. პირველი ოცნება ავიხდინე (მეორე კი აუხდენელ ოცნებად დამრჩა). პროფესია მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით არ ამირჩევია, ექიმობა - ჩემი სულის მოთხოვნილებაა, როგორც კი თეთრ ხალათს ჩავიცვამ, უკვე ჩემს სამყაროში ვარ, სადაც მავიწყდება ყოფითი წვრილმანები.

**რას ნიშნავს თქვენთვის საპატიო მოქალაქეობა, როგორ ფიქრობთ - რთულია ამ პატივის დამსახურება?**

- საპატიო მოქალაქეობა დიდი ტვირთია, იმდენად ზეაღმატებული, რომ მიჭირს გათავისება. არასდროს არ მიფიქრია ამ წოდებაზე. ვცხოვრობდი ისე, როგორც მიმაჩნდა სწორად (მეტ-ნაკლები შეცდომებით), როგორც ევალება ჩვენი სამშობლოს თითოეულ მოქალაქეს. ახლა კი მეტ ვალდებულებას ვგრძნობ ყველას მიმართ.

**ახალი წელი გვიახლოვდება, რას უსურვებდით სენაკს და ზოგადად საქართველოს?**

- სენაკს და საზოგადოდ ჩვენს სამშობლოს, ვუსურვებდი მშვიდობას, გამთლიანებას, ძირძველი ქართული მიწების დაბრუნებას, ეკონომიკურ აღმავლობას, ამ გლობალიზმის ეპოქაში, ქართული იდენტობის შენარჩუნებას, ურთიერთსიყვარულს, ურთიერთპატივისცემას, გამრავლებას, ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას. იმის კარგად გათავისებას, რომ ,,სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა".

ქალბატონი ნინოს პროფესიული მოღვაწეობა ჰარმონიაშია მის პირად ცხოვრებასთან, მან თავისი სოციალური ვალდებულებების ჯაჭვს მთავარი რგოლი დააკრა - შექმნა შესანიშნავი ოჯახი - მეუღლე ბორის ღადალაძე, პროფესიით იურისტი; შვილები: თამარ ღადალაძე, პროფესიით ექიმი-რადიოლოგი, დავით ღადალაძე, ეკონომისტი; შვილიშვილი - ლუკა გვალია, კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი.

ქალბატონი ნინო, გარდა იმისა რომ წარმატებული ექიმია, შესანიშნავი პიროვნებაა, მასთან მქონდა ეპიზოდური ურთიერთობა პაციენტის რანგში, მისი ცხოვრებისეული მრწამსი ჭეშმარიტად ვლინდება მის ყოველდღიურ ყოფაში.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციის სახელით ნინო ექიმს ვულოცავთ ,,საპატიო მოქალაქის" წოდებას! ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს და კიდევ დიდხანს დგომას ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე...

**გიორგი გარუჩავა**

# საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები N64 სენაკის საარჩევნო ოლქში

| | პარტიების დასახელება | მიღებული ხმები |
|---|---|---|
| 3 | "საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია" | 42 |
| 4 | კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა | 2871 |
| 5 | "ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა" | 3168 |
| 6 | "ევროპელი დემოკრატები" | 100 |
| 8 | "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | 375 |
| 9 | "ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!" | 1110 |
| 10 | საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 75 |
| 12 | "ჩვენი გაერთიანებული საქართველო" | 14 |
| 16 | "შეცვალე საქართველო" | 68 |
| 17 | "საქართველო" | 14 |
| 20 | თავისუფალი საქართველო | 31 |
| 21 | ტრიბუნა | 18 |
| 23 | "ჩვენ" | 12 |
| 25 | "გახარია საქართველოსთვის" | 2277 |
| 26 | "მემარცხენე ალიანსი" | 10 |
| 27 | ქართველ ერთობა | 75 |
| 36 | "გირჩი" | 304 |
| 41 | ქართული ოცნება | 11528 |

N64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისია

# წინსვლა და წარმატებები

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი აგრძელებს მასწავლებლებთან აქტიურ თანამშრომლობას და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე. ამ კუთხით გამორჩეულია ქ.სენაკის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე ბატონი მამუკა კუჭავა, რომელიც პირველად ჩვენი ქალაქის საგანმანათლებლო სფეროდან 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის მფლობელი გახდა, ბატონი მამუკა მაღალი პროფესიონალიზმით დაუღალავად ემსახურება მომავალი თაობის ხელოვნებასთან ზიარების საპატიო საქმეს, ასევე მისი ორგანიზებით გრძელდება სკოლებში შემოქმედებითი საქმიანობა. ხაზი გვინდა გავუსვათ მისი მხარდაჭერით განხორციელებულ გასვლით შემოქმედებით ექსკურსიებს. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფლის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მადლობას უხდის ბატონ მამუკას თანადგომისათვის და ლამაზი შემეცნებითი დღეებისათვის. კიდევ ერთხელ ვუსურვებთ მას და მის შემოქმედებით გუნდს წინსვლასა და წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.

**ახალსოფლის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი**


ძვირფასო სენაკელებო!

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე“.

გთხოვთ გამოიწეროთ

რაიონის მემატიანე გაზეთი






სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33